

## ფინანსური, საგადასახადო და მდგრადობის თავისებურებები ქართულ და უცხოურ მსხვილ კომპანიებში

DOI:10.36962/ECS107/6-7/2025-54

ჟუჟუნა ნიკლაური

ემდ, სტუ პროფესორი

E-mail: tsiklauri-shengeliajuna05@gtu.ge

ნათია შენგელია

ეად, სტუ ასოც. პროფესორი

E-mail: shengelianatia11@gtu.ge

რევაზ შენგელია

ემდ, სტუ პროფესორი

E-mail: economica\_2008@yahoo.com

ანა დუმბაძე

სტუ მაგისტრანტი

E-mail: dumbadze.ana24@gtu.ge

მარიამ ქარცივაძე

სტუ სტუდენტი

E-mail: mariekartsivadze@gmail.com

### რეზიუმე

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ორგანიზაციის სისტემურ და ფინანსურ მდგომარეობას, ასევე საქმიანობის შედეგებს. ცნობილია, რომ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური გადამწყვეტილების მიღების მომენტში, რომელსაც იღებს ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა მომხმარებელი, როგორიცაა ინვესტორები, ბანკები, დირექტორები, კრედიტორები, მომწოდებლები, საზოგადოება, დასაქმებული პირები და ა.შ. ეს მაღალი ნდობის ხარისხი კი გამოწვეულია იმით, რომ კომპანიის ფინანსები აღირიცხება *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების* (ფასს-IFRS) მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ამასთან სავალდებულო აუდიტს ექვემდებარება განსაკუთრებით მსხვილი კომპანიები. პარალელურად უკვე საქართველოში ამას ემატება *მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტების* (ESRS) დანერგვა. „ფასს“ ხელს უწყობს „ჭარმონიზაციის“ პროცესს, სტანდარტების საშუალებით საერთაშორისო დონეზე ფინანსური ანგარიშგების შესადარისობის ჩამოყალიბებას, ფინანსური გამჭვირვალობის ზრდას. ხოლო მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების (ESRS) მოთხოვნები კი აიძულებს კომპანიებს, გასააჯაროონ მათი გარემოსდაცვითი ღონისძიებები, გარკვეული ფინანსური თუ არაფინანსური-კოეფიციენტები. „მწვანე“ და მდგრადი მიზნებით განხორციელებული ინვესტიციებით დაკავებულ კომპანიებს კი შანსი აქვთ უფრო მეტი საგადასახადო შეღავათით ისარგებლონ. ყოველივე აქედან გამომდინარე მწვანე ფინანსები, გადასახადები და მდგრადობა ერთმანეთთან უფრო და უფრო მეტი კავშირით ხასიათდება.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსები, ფინანსური ანგარიშგება, მდგრადობა, გადასახადები, მწვანე ფინანსები, IFRS(ფასს), ESRS(ემსს), კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR);

### ძირითადი ტექსტი

როგორც აღვნიშნეთ, ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც კომპანია/ორგანიზაცია ასახავს თავის ფინანსურ მდგომარეობას, მის მოძრაობებსა და შე-

საძლებლობას, დინამიკას წლებს შორის და ა.შ. ცხადია, რომ თითოეული ანგარიში თავისებური ინფორმაციის მატარებელია და თითოეული ჩანაწერი შესაბამისი წყაროს ამსახველი, საბოლოოდ კი ისინი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულად წარმოჩნდებიან და ერთობლივად ქმნიან კომპანიის ფინანსური სურათის სრულ ხედვას. ბალანსის მონაცემები ასევე უკავშირდება ფულადი ნაკადების უწყისს, რომელიც აჩვენებს იმ ფაქტს, თუ როგორია კომპანიის ფულადი რესურსების მოძრაობა კონკრეტულ პერიოდში. შესაბამისად ეს ხაზს უსვამს, რომ მსგავსი ურთიერთდამოკიდებულება უზრუნველყოფს ანგარიშგების სიმჭიდროვესა და საბოლოოდ ქმნის საფუძველს სანდო ფინანსური ანალიზისთვის.

ამავდროულად, ცალკე გამოსაყოფია ის ფაქტიც, რომ ფინანსური ანგარიშგებები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც დროითი მახასიათებლებით, ისე ინფორმაციის ტიპითა და შინაარსით. როგორც ცნობილია, ბალანსი ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას კონკრეტულ მომენტში, მაშინ როდესაც მოგება-ზარალის ანგარიში აღწერს ფინანსური საქმიანობის შედეგებს დროში გაწერილ ფორმატში ძირითადად ერთი წლის პერიოდით. ფულადი ნაკადების უწყისი კი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კომპანიის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის გასაანალიზებლად.

*კვლევის მიზანი და ამოცანები:* მსხვილ კომპანიებში ფინანსური ანგარიშგებების კომპონენტებსა და ელემენტებს შორის ურთიერთკავშირის წარმოჩენა და ამასთანავე მათი პრაქტიკული განსხვავებების გამოვლენა, საერთაშორისო სტანდარტებისა და მარეგულირებელი გარემოს მნიშვნელობის შეფასება ფინანსური ანგარიშგებისთვის; სამშენებლო სექტორის ორი მსხვილი კომპანიის ანგარიშგების შედარებითი ანალიზი მათ შორის ფინანსური თუ საგადასახადო ერთგვაროვნებისა თუ განსხვავების გამოსავლენად, მდგრადობის თავისებურებების გამოვლენა;

საქართველოს ეკონომიკურ ზრდას თუ გადავხედავთ ბოლო პერიოდის განმავლობაში ნათელია, რომ მასში დიდი წვლილი სამშენებლო სექტორის მკვეთრ ზრდას მიუძღვის. ბოლო წლებია ძალიან ბევრი ახალი სამშენებლო კომპანია გამოჩნდა ბაზარზე, ბევრიც კი არსებობდა და უფრო გაფართოვდა. ცნობილი ქართული სამშენებლო კომპანიები გახლავთ: შპს ემკვადრატი (1) და შპს ანაგი(2).

**შპს ემკვადრატი** საქართველოში ოპერირებადი სამშენებლო კომპანია გახლავთ 17 წლიანი გამოცდილებით, ასევე შპს ანაგი გახლავთ საქართველოს უმსხვილესი სამშენებლო კომპანია, რომელიც 1989 წელს დაარსდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კომპანია სამშენებლო სექტორშია, მათი ფინანსური ანგარიშგებები ერთმანეთის მსგავსიცაა და განსხვავებულიც. ქვემოთ მოცემული 2023 წლების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ცხადი ხდება, რომ მათ მაინც აქვთ განსხვავებული აქტივებისა და ვალდებულების მართვის მიდგომები.

### აქტივების სტრუქტურის ანალიზი

როგორც ბალანსის მუხლიდან ნათელია ემკვადრატის გრძელვადიანი აქტივები შედგება: მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონებისგან, სავაჭრო მოთხოვნებისა და გრძელვადიანი სახელშეკრულებო აქტივებისგანაც. ხოლო მოკლევადიანი აქტივები: მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონებისგან, ავანსების, მოკლევადიანი სახელშეკრულებო აქტივებისგან და აგრეთვე გაცემული სესხებისგან (იხ. ნახაზი 1).

ანაგის გრძელვადიანი აქტივებს რაც შეეხება, ის შედგება: ინვესტიციები მეკავშირე სანარმოებთან, ძირითადი საშუალებები და აგრეთვე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მოკლევადიანი აქტივების ნაწილი კი შემდეგადაა წარდგენილი: აქტივები სამშენებლო კონტრაქტორებიდან, მარაგებისგან, ავანსებისა და ნაღდი ფულისგან (იხ. ნახაზი 2).

*მსგავსება:* ნათელია, რომ ორივე კომპანია ჩართულია სამშენებლო სექტორში, ეს თავის მხრივ ადასტურებს მათ მძლავრ აქტივებს სამშენებლო პროექტებთან და კონტრაქტებთან დაკავშირებით სამშენებლო საქმიანობაში.

ნახ.1 ემკვადრატის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება – აქტივები

|                                                       | შენიშვნა | 2023           | 2022           |
|-------------------------------------------------------|----------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                                       |          |                |                |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                          |          |                |                |
| მარაგებამდე კლასიფიცირებული უძრავი ქონება             | 8        | 18,986         | 68,278         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                            | 5        | 7,866          | –              |
| გრძელვადიანი სახელმწიფოებრივი აქტივები მომხმარებელთან | 5        | 2,492          | 22,176         |
| გაცემული გრძელვადიანი სესხები                         | 10       | 8,422          | 16,593         |
| ვადიანი ანაზღაურებები საკრედიტო დაწესებულებებში       | 10       | 462            | 24,783         |
| შეზღუდული ფულადი სახსრები                             | 10       | –              | 385            |
|                                                       |          | <b>38,228</b>  | <b>132,215</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                          |          |                |                |
| გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები                   | 9        | 24,661         | 26,140         |
| გაცემული მოკლევადიანი სესხები                         | 10       | 14,469         | 3,638          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                            | 5        | 123            | –              |
| ვადიანი ანაზღაურებები საკრედიტო დაწესებულებებში       | 10       | 14,056         | –              |
| მოკლევადიანი სახელმწიფოებრივი აქტივები მომხმარებელთან | 5        | 27,005         | –              |
| მარაგებამდე კლასიფიცირებული უძრავი ქონება             | 8        | 47,939         | –              |
| ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში                              | 10       | 5,815          | 5,445          |
|                                                       |          | <b>134,068</b> | <b>35,223</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                                   |          | <b>172,296</b> | <b>167,438</b> |

წყარო: saras.gov.ge

ნახ. 2 ანაგის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება – აქტივები

|                                                                            | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2023 | 31 დეკემბერი<br>2022 (განახლებული) |
|----------------------------------------------------------------------------|----------|----------------------|------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                                                            |          |                      |                                    |
| <b>გრძელვადიანი აქტივები:</b>                                              |          |                      |                                    |
| ძირითადი საშუალებები                                                       | 8        | 28,242               | 21,681                             |
| არამატერიალური აქტივები                                                    |          | 1,277                | 1,267                              |
| საინვესტიციო ქონება                                                        | 9        | 2,627                | 2,724                              |
| ინვესტიციები მეცავშირე საწარმოებში                                         | 10       | 38,130               | 24,261                             |
| აქტივები სამშენებლო კონტრაქტებიდან                                         | 11       | 9,153                | 11,572                             |
| გადახდილი ავანსები                                                         | 16       | 562                  | 2,512                              |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                 | 15       | 14,783               | 9,180                              |
| რეალური ღირებულებებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები | 13       | 4,444                | 10,201                             |
| გაცემული სესხები                                                           | 12       | 7,466                | 7,104                              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                                           |          | <b>106,684</b>       | <b>90,502</b>                      |
| <b>მიმდინარე აქტივები:</b>                                                 |          |                      |                                    |
| მარაგები                                                                   | 14       | 78,925               | 38,291                             |
| ინვესტიციები ფინანსურ აქტივებში (FVTPL-ში)                                 | 13       | 11,459               | 3,054                              |
| გაცემული სესხები                                                           | 12       | 11,377               | 8,021                              |
| აქტივები სამშენებლო კონტრაქტებიდან                                         | 11       | 161,123              | 131,948                            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                 | 15       | 16,037               | 19,539                             |
| გადახდილი ავანსები                                                         | 16       | 49,166               | 45,314                             |
| შეზღუდული ფული                                                             | 17       | 30,522               | 12,644                             |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                                                | 17       | 37,666               | 11,515                             |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                                              |          | <b>396,275</b>       | <b>270,326</b>                     |
| <b>სულ აქტივები</b>                                                        |          | <b>502,959</b>       | <b>360,828</b>                     |

წყარო: saras.gov.ge

განსხვავებანი: ანაგის მოკლევადიანი აქტივები გაცილებით მეტია, რაც იმ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, რომ აქვს დიდი ფინანსები მოკლევადიან და გრძელვადიან პროექტებთან დაკავშირებით. საინტერესოა ისიც, რომ ეს უფრო ხშირია და სწრაფად გადაადგილდება. რაც

შეეხება, ემკვადრატს, აქ იგრძნობა გრძელვადიანი აქტივების მეტი მდგრადობა და შედარებით ნაკლებად ცვალებადი სახის აქტივების რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კომპანია ერთი და იგივე სექტორშია მათ სხვადასხვა მიდგომა აქვთ აქტივების მართვის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

#### ვალდებულებების სტრუქტურის ანალიზი:

ნახ. 3 ემკვადრატის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება – ვალდებულებები

|                                                                          |    |                |                |
|--------------------------------------------------------------------------|----|----------------|----------------|
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                                        |    |                |                |
| გადავადებული ამონაგები                                                   | 5  | 8,972          | 63,560         |
| მიღებული გრძელვადიანი სესხები                                            | 10 | 14,438         | 4,917          |
| გენერალური კონტრაქტორისთვის გადასახდელი დაკავებული თანხები               | 10 | 3,003          | 678            |
|                                                                          |    | <b>26,413</b>  | <b>69,155</b>  |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                                        |    |                |                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                            | 10 | 11,682         | 19,038         |
| მოკლევადიანი სესხები და მიღებული გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი წილი | 10 | 15,880         | 5,027          |
| გადავადებული ამონაგები                                                   | 5  | 33,295         | –              |
| გენერალური კონტრაქტორისთვის გადასახდელი დაკავებული თანხები               | 10 | –              | 678            |
| სხვა ვალდებულებები                                                       | 10 | 6,105          | 7,082          |
|                                                                          |    | <b>66,962</b>  | <b>31,825</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                 |    | <b>93,375</b>  | <b>100,980</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                            |    | <b>172,296</b> | <b>167,438</b> |

წყარო: saras.gov.ge

პირველი კომპანიის ვალდებულების ნაწილს რაც შეეხება, ის ძირითად წარმოდგენილია: გრძელვადიანი სესხებისგან, გადავადებული ამონაგებისა და კონტრაქტორისათვის გადასახდელი თანხებისგან, მოკლევადიანი ვალდებულებები კი შედგება: გადავადებული ამონაგების, მოკლევადიანი სესხებისა და სავაჭრო მოთხოვნებისგან.

ნახ. 4 ანაგის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება – ვალდებულებები

|                                       |    |                |                |
|---------------------------------------|----|----------------|----------------|
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |    |                |                |
| მიღებული ავანსები                     | 18 | 49,682         | 36,051         |
| შესაძლო დეფექტების ანაჩიხი            |    | 1,063          | 848            |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელი           | 19 | 3,975          | 4,259          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |    | <b>54,720</b>  | <b>41,158</b>  |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები:</b>       |    |                |                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 19 | 64,660         | 37,384         |
| გადასახდელი მოგების გადასახდის გარდა  |    | 13,743         | 4,786          |
| მიღებული ავანსები                     | 18 | 233,361        | 106,892        |
| გადასახდელი დივიდენდები               |    | 1,195          | 1,167          |
| აღებული სესხები                       | 20 | 15,671         | 62,336         |
| პირველი დღის მოგების გადადება         |    | 1,329          | 3,054          |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |    | <b>329,959</b> | <b>215,619</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |    | <b>384,679</b> | <b>256,777</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |    | <b>502,959</b> | <b>360,828</b> |

წყარო: saras.gov.ge

რაც შეეხება მეორე კომპანიას, ანაგს, გრძელვადიანი ნაწილი მიღებული ავანსებია, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებებია: მიღებული ავანსები, სავაჭრო მოთხოვნები.

**მსგავსება:** ემკვადრატისა და ანაგის ვალდებულებების ნაწილი შეიცავს, როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან ვალდებულებებსაც. ვალდებულებების მუხლების შინაარსობრივი მხარე ხაზს უსვამს იმ სექტორს, სადაც კომპანიები არსებობენ.

**განსხვავება:** ანაგის მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილი გაცილებით მაღალი გახლავთ, რაც ნესით იმ ფაქტს ადასტურებს, რომ იგი უფრო აქტიურად გამოიყენებს მოკლევადიან ფინანსურ ოპერაციებს. მაგალითად: სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული გადასახადები და ა.შ.

#### კაპიტალის სტრუქტურის ანალიზი:

ნახ. 5 ემკვადრატის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება – კაპიტალი

|                          |           |               |               |
|--------------------------|-----------|---------------|---------------|
| <b>საკუთარი კაპიტალი</b> | <b>11</b> |               |               |
| საწესდებო კაპიტალი       |           | 21,465        | 19,400        |
| საკურსო სხვაობის რეზერვი |           | 15,518        | 15,518        |
| სხვა რეზერვები           |           | (3,369)       | (3,369)       |
| გაუნაწილებელი მოგება     |           | 45,307        | 34,909        |
|                          |           | <b>78,921</b> | <b>66,458</b> |

წყარო: saras.gov.ge

საკუთარი კაპიტალის ნაწილის მიხედვით ემკვადრატის საკუთარი კაპიტალი 78,921 ათასი ლარია, ის ძირითადად გაუნაწილებელი მოგებისა, რეზერვებისგან და საწესდებო კაპიტალისგან არის შემდგარი

ნახ. 6 ანაგის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება – კაპიტალი

|                                             |  |                |                |
|---------------------------------------------|--|----------------|----------------|
| <b>აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები</b> |  |                |                |
| აქციონერთა კაპიტალი:                        |  |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                          |  | 5              | 5              |
| გაუნაწილებელი მოგება                        |  | 116,586        | 102,475        |
| სულ ჯგუფის მფლობელების კაპიტალი             |  | <b>116,591</b> | <b>102,480</b> |
| არამაკონტროლებელი წილი                      |  | 1,689          | 1,571          |
| <b>სულ კაპიტალი</b>                         |  | <b>118,280</b> | <b>104,051</b> |

წყარო: saras.gov.ge

ანაგის საკუთარი კაპიტალის შემადგენლობა კი 118,280 ათასი ლარი გახლავთ. რომელიც ასევე გაუნაწილებელი მოგებისა და საწესდებო კაპიტალისგან შედგება.

**მსგავსება:** ორივე კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის შემადგენლობა შედგენილია საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. ორივე კომპანიას აქვს მაღალი საკუთარი კაპიტალი, რაც ჰარმონიულად უკავშირდება მათი საქმიანობის ზომასა და სტაბილურობას.

**განსხვავებანი:** ანაგის საკუთარი კაპიტალი უფრო მაღალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომპანიას უფრო ძლიერი ფინანსური მდგომარეობა აქვს ან კიდევ უფრო დიდ ბაზრებზე ოპერირებს.

#### აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზის შეჯამება:

ანაგი გაცილებით მეტ აქტივსა და ვალდებულებას ფლობს კონკურენტთან შედარებით. მისი სტრუქტურა შედარებით სტაბილურია. თან იგრძნობა მაღალი აქტიურობა მოკლევადიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რაც ჩვეულებრივ კომპანიის დინამიკურობასა და რისკიან ფინანსურ

სტრატეგიებს ადასტურებს. ბალანსიდან გამომდინარე ანაგს უფრო მეტი შემოსავლების პოტენციალი აქვს, თუმცა მისი მოკლევადიანი აქტივები საკმაოდ დიდი რიცხვებით არის წარდგენილი.

ემკვადრავი სტაბილურია, ფოკუსირებულია გრძელვადიან აქტივების ზრდაზე, რაც უზრუნველყოფს მის სტაბილურ და პროგნოზირებად ფინანსურ შედეგებსაც. ვალდებულება გრძელვადიანი სახისაა, რაც ფინანსურ სტაბილურობაში ეხმარება ემკვადრავს.

საერთო ჯამში, ორივე კომპანიას აქვს მაღალი გაუნანილებელი მოგენა, რაც ნაწილობრივ კარგ ფინანსურ პოზიციას ადასტურებს.

ემკვადრავი უფრო გრძელვადიან აქტივებს და სტაბილურობის პოლიტიკას ირჩევს, ხოლო ანაგი კი მოკლევადიანი აქტივებსა და რისკიან სტრატეგიებს.

### ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი (Ratio analysis)

განვიხილოთ ორივე კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების ელემენტების მიხედვით კოეფიციენტების ანალიზი, რაც ორი კომპანიის რეალური სურათის შესადარებლად ერთ-ერთი საუკეთესო გზას წარმოგვიდგენს. კოეფიციენტების ანალიზი შეიძლება 4 ნაწილად გავყოთ: ლიკვიდურობის კოეფიციენტი, მომგებიანობის კოეფიციენტი, აქტივობის კოეფიციენტი და ლევერიჯი (Gearing).

#### მომგებიანობა

მომგებიანობის კოეფიციენტები, როგორც მათი სახელიდან ჩანს, ზომავს ორგანიზაციის უნარს მოგების მიღების. მოგება აუცილებელია იმისთვის, რომ ინვესტორებს მიეცეთ მათთვის საჭირო ანაზღაურება და უზრუნველყონ სახსრები ბიზნესში რეინვესტირებისთვის. ჩვეულებრივ გამოიყენება ხუთი თანაფარდობა.<sup>1</sup>

**შეჯამება:** ემკვადრავი: ვალისა და კაპიტალის ურთიერთობა 34%-ია. ეს ნიშნავს, რომ კომპანიის ყველა 1 ლარზე, რომელიც მფლობელებს ეკუთვნით, აქვს 0.34 ლარის ვალი. სტაბილური სიტუაციაა, რადგან ვალზე დამოკიდებულება შედარებით დაბალია.

ანაგი: ვალისა და კაპიტალის ურთიერთობა 46%-ია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ 1 ლარზე, რომელიც მფლობელებს ეკუთვნით, კომპანიას აქვს 0.46 ლარის ვალი. ანაგი მეტი ფინანსური რისკის ქვეშაა, რადგან მისი ვალის წილი უფრო მაღალია.

### ნახ. 7 კოეფიციენტთა ანალიზი (Ratio analysis)

|            | მომგებიანობის მაჩვენებელი | ლიკვიდურობა | აქტივობა | გადამხდელუნარიანობა |
|------------|---------------------------|-------------|----------|---------------------|
| ემკვადრავი | 16%                       | 1.85        | 181      | 34%                 |
| ანაგი      | 10%                       | 1.2         | 72       | 46%                 |
| სხვაობა    | 6%                        | 0.45        | 109      | -12%                |

#### შეჯამება

ემკვადრავის უძრავი ქონებისგან მიღებული შემოსავლებით დადებითი ზრდას ითვის, საბოლოოდ კი მისი ფულადი სახსრები დადებითი შედეგით ხასიათდება. ანაგი კი უფრო მაღალ ფულად ნაკადებს აღწევს და დადებითი შედეგით წარმოჩნდება. თუმცა მას ფინანსური ზარალი აქვს სესხების გამო. პირველი კომპანია უფრო კონსერვატიული სახისაა და მცირე ზრდას იძლევა,


<sup>1</sup> Ratio analysis, ACCA

ხოლო მეორე მეტად რისკიანი. საბოლოო ჯამში, ემკვადრატის ოპერაციული ნაკადები უარყოფითია თუმცა, ცხადია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ინვესტიციები და ფინანსური საქმიანობა ეხმარება. წლიური მოგება ზრდადი სახისაა.

ანაგი კარგი საოპერაციო საქმიანობით ხასიათდება, მას აქვს ნაკლები ეფექტურობა ფინანსურ საქმიანობაში, თუმცა დადებით მოგებით ჩანს. ანაგი გაცილებით ძლიერი და სტაბილურია საოპერაციო საქმიანობაში, მაშინ როცა ემკვადრატი ჯამურად ინვესტიციებზე და ფინანსურ გადანყვეტილებებზეა დაყრდნობილი.

საერთო ჯამში კი უნდა ითქვას, რომ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურა გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისგან. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები ყველგან ერთი და იგივეა. ალბათ, ვერც იხილავთ ისეთ ფინანსურ ანგარიშგებას სადაც არ იქნება რომელიმე მათგანი. განსხვავება შესამჩნევია განმარტებით შენიშვნებში, უშუალოდ კომპონენტების ელემენტებში. თუ კომპანია სამშენებლო სექტორშია მეტი მას მარაგი, ინვესტიცია ექნება, თუ წყალმომარაგების ნაწილშია მისი ძირითადი საშუალებები ბევრად მკვეთრი იქნება. განსხვავებულია განმარტებითი შენიშვნები. შეიძლება ერთ კომპანიას მარაგი საერთოდ არ ჰქონდეს, მეორეს კი პირიქით მარაგის უდიდესი მაჩვენებელი ჰქონდეს, რაც მეტ დეტალიზებას მოითხოვს და ა.შ.

**საგადასახადო თავისებურებებს** თუ განვიხილავთ, მსხვილი კომპანიები საზღვარგარეთ მნიშვნელოვან შეღავათებს იღებენ, თუ ინვესტიციებს გარესმოდაცვით პროექტებში, ე.წ. „მწვანე“ ინვესტიციებს ახორციელებენ. სხვა შემთხვევაში კი პირიქით გადასახედებით იბეგრებიან, რომ როგორმე შემცირდეს გარემოზე ზემოქმედება მსხვილის კომპანიების მასშტაბიდან გამომდინარე. იხ. ქვევით ცხრილი (სურ. 1), სადაც გადასახადების მაღალი ხვედრითი წილი მოდის გარემოს დაბინძურებაზე.



სურ. 1 : 2025 Global Tax Policy Survey: Shaping the path forward | Sustainability/Deloitte

**მდგრადობის სტანდარტების** დანერგვაში ერთ-ერთ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს კომპანია „თეგეტას“ მიერ გამოშვებული კორპორაციული პასუხისმგებლობის ანგარიშგება, რომელიც მდგრადობის ანგარიშის ხუთ ძირითად მიმართულებას აერთიანებს: თანამშრომელთა კეთილდღეობა, მომხმარებელთა მიმართ პასუხისმგებლობა, გარემოს დაცვა, უსაფრთხოება და საზოგადოების მხარდაჭერა. ამ მიმართულებებით 2023 წელს განხორციელებული პროექტები ანგარიშში დეტალურად გაიწერა.

## დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე ბიზნესგარემოში **ფინანსური** ანგარიშგება როგორც აღმოჩნდა, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ კომუნიკაციურ ინსტრუმენტს, რომელიც როგორც წესი აერთიანებს კომპანიების ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებს. სამშენებლო სექტორის ორი მსხვილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების შედარებით ანალიზმა წარმოგვიდგინა, რომ ინდუსტრიული სპეციფიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარდგენილ ანგარიშგების ფორმა-

ტსა და შინაარსზე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კომპანია მიჰყვება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებს, ანგარიშების ფორმულირებებსა და კომპონენტებში შეინიშნება განსხვავებები, რაც მიანიშნებს სექტორული მიდგომის საჭიროებაზე. თუმცა მათ შორის დიდი მსგავსებაა თუნდაც ელემენტების დონეზე. ერთი სფეროს კომპანიები შედარებით მსგავსია.

**მდგრადობის** თვალსაზრისით, უცხოური კომპანიებისგან განსხვავებით, ქართული კომპანიები, გამონაკლისების გარდა, დიდ ყურადღებას არ უთმობენ ჯერ კიდევ მდგრადი განვითარების მაჩვენებლების გამჟღავნებას თავიანთ ფინანსურ თუ მმართველობის ანგარიშგებაში. თუმცა საქართველოში ახალი ევროპული მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა უკვე ხელს შეუწყობს ამ პრაქტიკის განვითარებას. **გადასახადების** თვალსაზრისით, ალბათ მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების დანერგვა ნელ-ნელა წინაპირობას შექმნის, შესაბამისი საგადასახადო ცვლილებების გატარების.

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგება, როგორც ბიზნესის სისტემური და კომპლექსური ინსტრუმენტი, საჭიროებს ერთდროულად სტანდარტიზაციასა და ინდუსტრიაზე მორგებულ მოქნილობას. მსხვილ კომპანიებს, რომლებსაც შემოსავლების დიდი ნაწილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რეკომენდებულია ერთობლივად კომპლექსურად გაითვალისწინონ არამარტო საერთაშორისოდ აღიარებული ფინანსური (IFRS), არამედ მდგრადობის სტანდარტების მოთხოვნებიც (ESRS 1, 2), სხვა გარემოსდაცვითი საკითხები ინდუსტრიულ სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც კიდევ უფრო მეტად აამაღლებს მათ კორპორაციულ პასუხისმგებლობას.

#### გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. EY -COP29: "Building on progress Key developments and their implications for financial" services November 2024;
2. <https://www.deloitte.com/content/dam/assets-shared/docs/services/tax/2025/dttl-global-tax-policy-survey-full-report-2025-april.pdf>
3. [saras.gov.ge](https://saras.gov.ge)
4. [Reportal.ge](https://portal.ge)
5. European Sustainability Reporting Standards (ESRS)
6. Libby, R., Libby, P. A., & Hodge, F. Financial accounting (11th ed). New York, NY: McGraw Hill LLC. (2023). Pg.1-30
7. [https://bm.ge/news/biznesis-meti-gamchvirvalobisatvis-tegetam-pirveli-mdgradobis-angarishitsaradgina?utm\\_source=bm&utm\\_medium=website&utm\\_campaign=Tegeta\\_Holding](https://bm.ge/news/biznesis-meti-gamchvirvalobisatvis-tegetam-pirveli-mdgradobis-angarishitsaradgina?utm_source=bm&utm_medium=website&utm_campaign=Tegeta_Holding)
8. Wu, H. Internal Control Weaknesses and Audit Challenges in Large Enterprises: An Empirical Investigation. Journal of Internal Control, 7(1), 2020. Pg. 145-162.
9. კომპანიის შესახებ, M2.ge, <https://m2.ge/page/id/2/mis-shesaxe.html>
10. ჩვენს შესახებ, ანაგი, <https://anagi.ge/ka/overview>
11. Alexander, D., Britton, A., & Jorissen, A. International financial reporting and analysis (7th ed.). Cengage Learning. (2020).
12. ACCA, Strategic Business Reporting (SBR): Study Text. London: Kaplan Publishing.(2024)

## FINANCIAL, TAX AND SUSTAINABILITY PECULIARITIES IN LARGE GEORGIAN AND FOREIGN COMPANIES

**Zhuzhuna Tsiklauri**, PhD, GTU Professor  
**Natia Shengelia**, PhD, GTU Assoc. Professor  
**Revaz Shengelia**, PhD, GTU Professor  
**Ana Dumbadze**, GTU Master's Student  
**Mariam Kartsivadze**, GTU Student;

### RESUME

In the modern business environment, financial reporting has proven to be one of the main communication tools, typically combining the financial position and performance of companies. In terms of **sustainability**, unlike foreign companies, Georgian companies, with a few exceptions, do not yet pay much attention to disclosing sustainable development indicators in their financial or management reports. However, the introduction of new European international sustainability standards in Georgia will already contribute to the development of this practice. From **a tax perspective**, the introduction of sustainability reporting standards will likely gradually create the prerequisites for implementing relevant tax changes.

In summary, financial reporting, as a systematic and complex business tool, requires both standardization and industry-specific flexibility. Large companies, which contribute a large part of their revenues to the development of the country's economy, are recommended to collectively and comprehensively consider not only the requirements of internationally recognized financial reporting standards (IFRS), but also the requirements of sustainability standards (ESRS 1, 2), other environmental issues based on industry specifics, which will further enhance their corporate responsibility.

**Key words:** Finances, Financial Statements, Sustainability, Taxes, Green Finances, IFRS, ESRS, corporate social responsibility.